

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ 1994 წლის 3 თებერვლის შეთანხმების თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმიდან ამოღებათა შესახებ 1994 წლის 11 მაისს ხელმოწერილ ოქმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს მთავრობა და რუსეთის ფედერაციის მთავრობა, შემდგომში მხარეებად წოდებულნი,

ითვალისწინებენ, რა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ 1994 წლის 3 თებერვლის შეთანხმებისა (შემდგომში შეთანხმებად წოდებული) და ამ შეთანხმების 1994 წლის 11 მაისის ოქმის (შემდგომში ოქმად წოდებული), ხელმოწერის შემდეგ ეროვნულ ეკონომიკაში, აგრეთვე საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სატარიფო და არასატარიფო რეგულირების სფეროში მხარეთა კანონმდებლობაში მომხდარ ცვლილებებს,

ხელმძღვანელობენ, რა თავისუფალი საგაჭრო ზონის შექმნის შესახებ 1994 წლის 15 აპრილის შეთანხმებისა და 1999 წლის 2 აპრილს ხელმოწერილი „1994 წლის 15 აპრილის თავისუფალი საგაჭრო ზონის შექმნის შეთანხმებაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ ოქმის დებულებებით:

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

შეთანხმების ოქმში შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილებები:

მუხლი პირველი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ 1994 წლის 3 თებერვლის შეთანხმების (შემდგომში შეთანხმება) 1-ელი მუხლით გათვალისწინებული ამოღებები თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმიდან, რომელთა მიმართაც არ მოქმედებს სატარიფო და არასატარიფო რეგულირების ზომების გამოყენებისაგან გათავისუფლება, ვრცელდება:

რუსეთის ფედერაციიდან საქართველოში ექსპორტირებულ იმ საქონელზე, რომელზეც ვრცელდება საექსპორტო ტარიფების ლიცენზირების და საქონლის ექსპორტის (სამუშაოების, მომსახურების) კვოტირების შესახებ რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობა საქონლის საბაჟო გაფორმების მომენტისათვის;

საქართველოდან რუსეთის ფედერაციაში ექსპორტირებულ იმ საქონელზე, რომელზეც ვრცელდება საექსპორტო ტარიფების, ლიცენზირების და საქონლის ექსპორტის (სამუშაოების, მომსახურების) კვოტირების შესახებ საქართველოს კანონმდებლობა საქონლის განბაჟების მომენტისათვის.

შეთანხმების 1-ელი მუხლით გათვალისწინებული თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმიდან ამომდები, რომელთა მიმართ არ მოქმედებს არასატარიფო რეგულირების ზომების გამოყენებისაგან განთავისუფლება, ვრცელდება ამ ოქმის N1 დანართში მითითებულ სატარიფო ამოღებას დაქვემდებარებულ საქონელზე, რომელიც შედის საქართველოდან რუსეთის ფედერაციის საბაჟო ტერიტორიაზე და ამ ოქმის N2 დანართში მითითებულ სატარიფო ამოღებას დაქვემდებარებულ საქონელზე, რომელიც შედის რუსეთის ფედერაციიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე;

შეთანხმების 1-ელი მუხლით გათვალისწინებული თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმიდან ამომდები, რომელთა მიმართ არ მოქმედებს არასატარიფო რეგულირების ზომების გამოყენებისაგან განთავისუფლება, ვრცელდება იმ საქონელზე, რომელიც ხვდება მხარეთა სახელმწიფოების ლიცენზირებისა და საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) იმპორტის ქვოტირების კანონმდებლობის ქვეშ საქონლის საბაჟო გაფორმების მომენტისათვის;

მხარეები დაეყოფნებივ აცნობენ ერთმანეთს ზემოხსენებულ საკითხებზე ყველა სახის შიდა საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ.

მხარეები ატყობინებენ ერთმანეთს თავისუფალი სავაჭრო რეჟიმიდან იმ საქონლის ამოღებათა შემოღების შესახებ, რომელიც მითითებულია ამ ოქმის N1 და N2 დანართებში, არაუგვიანეს 2 თვისა მათ შემოღებამდე.

მე-2 მუხლში სიტყვები „ექსპორტის; საექსპორტო“ შეიცვალოს სიტყვებით „ექსპორტის და/ან იმპორტის, საექსპორტო და/ან საიმპორტო“;

ამოღებული იქნას მე-6 მუხლი.

## მუხლი 2

ეს ოქმი ძალაში შედის მისი მხარეთა მიერ ძალაში შესვლისათვის აუცილებელი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების შესახებ უკანასკნელი წერილობითი შეტყობინების მიღების თარიღიდან და წარმოადგენს

1994 წლის 3 თებერვლის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების განუყოფელ ნაწილს.

შესრულებულია ქ. მოსკოვში 2001 წლის 10 ივნისს ორ პირად, თითოეული ქართულ და რუსულ ენაზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

საქართველოს  
მთავრობის სახელით



რუსეთის ფედერაციის  
მთავრობის სახელით

